

2024



შპს „შპს ბოიგარს“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად 2024 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	1-3
--------------------------------------	-----

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	8
2. მომზადების საფუძველი.....	8
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	9
4. არსებითი სააღრიცხვო დაშვებები	13
5. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი	14
6. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	15
7. გადახდილი ავანსები.....	15
8. მარაგები	15
9. საგადასახადო აქტივი, წმინდა	15
10. ძირითადი საშუალებები.....	16
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
12. მიღებული სესხები.....	18
13. საწესდებო კაპიტალი.....	19
14. შემოსავალი.....	19
15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	19
16. გაყიდვის და მარკეტინგის ხარჯი	19
17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	20
18. ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	20
19. პირობითი ვალდებულებები.....	20
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	21

მმართველობის ანგარიშგება

22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბოიგარს“-ის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ბოიგარს“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“, აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავესწარიტ მარაგების ინვენტარიზაციას 2024 წლის 31 დეკემბერს, რადგან ჩვენ არ დავნიშნულვართ აუდიტორებად საანგარიშგებო წელს მიახლოებულ თარიღამდე. კომპანიის მარაგების არსებითი ბრუნვიდან გამომდინარე ჩვენ ალტერნატიული გზებითაც ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგების რაოდენობის შესახებ, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 13,131,254 ლარის ოდენობით. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მარაგების ელემენტში, ასევე მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ელემენტში, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შემადგენელ შესაბამის ელემენტებში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (*ბესსს*) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და *ბესსს*-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წამოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

აუდიტის სხვა გარემოებები

კომპანიის წინა წლების ფინანსური ანგარიშგება არააუდიტირებულია. მიმდინარე ანგარიშგება - 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, არის პირველი ანგარიშგება რომლის აუდიტიც განხორციელდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. თუმცა, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 510-ის (საწყისი აუდიტის სამუშაოები - საწყისი ნაშთები) მოთხოვნები შესრულებულია იმდენად, რომ დაგეგმულად საწყისი მაჩვენებლები არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია წაკითხული უნდა იქნას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის აუდიტორის ანგარიშთან ერთად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სადირიჯზო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სადირიჯზო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან



Global

INDEPENDENT
ALLIANCE MEMBER

Cora Consulting LLC is an independent alliance member of CLA Global. See CLAGlobal.com/disclaimer.

დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

სოფიკო ლუდუშაური (SARAS-A-835962)

შპს „კორა კონსალტინგი“ (SARAS-F-407186)

29 სექტემბერი 2025

თბილისი, საქართველო

დაკავშირებით. თუ დაეკენით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალე ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:


- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

სოფიკო ლუდუშაური (SARAS-A-835962)

შპს „კორა კონსალტინგი“ (SARAS-F-407186)

29 სექტემბერი 2025

თბილისი, საქართველო



2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	1,644,532	368,307	1,966,002
სავაჭრო მოთხოვნები		16,138	-	-
გადახდილი ავანსები	7	2,177,730	6,133,680	49,013
მარაგები	8	13,133,540	3,469,253	-
საგადასახადო აქტივი, წმინდა	9	77,249	904,784	-
სულ მიმდინარე აქტივები		17,049,189	10,876,024	2,015,015
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	9,873,075	6,336,626	342,575
არამატერიალური აქტივები		48,561	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,921,636	6,336,626	342,575
სულ აქტივები		26,970,825	17,212,650	2,357,590
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	973,551	498,938	11,796
მიღებული ავანსები		496,843	-	-
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა		-	-	477
მიღებული სესხები	12	2,794,281	226,735	15,339
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,264,675	725,673	27,612
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	12	2,806,800	3,496,220	2,161,600
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,806,800	3,496,220	2,161,600
სულ ვალდებულებები		7,071,475	4,221,893	2,189,212
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	13	23,882,562	15,720,446	244,980
გაუნაწილებელი მოგება		(3,983,212)	(2,729,689)	(76,602)
სულ კაპიტალი		19,899,350	12,990,757	168,378
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		26,970,825	17,212,650	2,357,590

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორის მინდობილი პირი

ფინანსური მენეჯერი

თინათინ ფეიქრიშვილი

მარიამ გუგავა

თბილისი, საქართველო

29 სექტემბერი 2025

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	1,644,532	368,307	1,966,002
სავაჭრო მოთხოვნები		16,138	-	-
გადახდილი ავანსები	7	2,177,730	6,133,680	49,013
მარაგები	8	13,133,540	3,469,253	-
საგადასახადო აქტივი, წმინდა	9	77,249	904,784	-
სულ მიმდინარე აქტივები		17,049,189	10,876,024	2,015,015
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	9,873,075	6,336,626	342,575
არამატერიალური აქტივები		48,561	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,921,636	6,336,626	342,575
სულ აქტივები		26,970,825	17,212,650	2,357,590
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	973,551	498,938	11,796
მიღებული ავანსები		496,843	-	-
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა		-	-	477
მიღებული სესხები	12	2,794,281	226,735	15,339
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,264,675	725,673	27,612
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	12	2,806,800	3,496,220	2,161,600
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,806,800	3,496,220	2,161,600
სულ ვალდებულებები		7,071,475	4,221,893	2,189,212
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	13	23,882,562	15,720,446	244,980
გაუნაწილებელი მოგება		(3,983,212)	(2,729,689)	(76,602)
სულ კაპიტალი		19,899,350	12,990,757	168,378
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		26,970,825	17,212,650	2,357,590

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორის მინდობილი პირი

ფინანსური მენეჯერი

თინათინ ფეიქრიშვილი

მარიამ გუგავა

თბილისი, საქართველო
29 სექტემბერი 2025

8-21 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	14	19,189,575	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(10,479,371)	-
საერთო მოგება		8,710,204	-
გაყიდვის და მარკეტინგის ხარჯი	16	(5,631,070)	(888,323)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	17	(3,678,196)	(1,279,186)
საოპერაციო ზარალი		(599,062)	(2,167,509)
ფინანსური ხარჯი	12	(322,106)	(211,468)
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	18	(253,147)	(272,549)
არასაოპერაციო ზარალი		(157,153)	(1,567)
არასაოპერაციო შემოსავალი		77,946	6
ზარალი დაზღვევამდე		(1,253,522)	(2,653,087)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა ზარალი		(1,253,522)	(2,653,087)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		(1,253,522)	(2,653,087)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორის მინდობილი პირი

ფინანსური მენეჯერი

თინათინ ფეიქრიშვილი

მარიამ გუგავა

თბილისი, საქართველო

29 სექტემბერი 2025

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	14	19,189,575	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(10,479,371)	-
საერთო მოგება		8,710,204	-
გაყიდვის და მარკეტინგის ხარჯი	16	(5,631,070)	(888,323)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	17	(3,678,196)	(1,279,186)
საოპერაციო ზარალი		(599,062)	(2,167,509)
ფინანსური ხარჯი	12	(322,106)	(211,468)
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	18	(253,147)	(272,549)
არასაოპერაციო ზარალი		(157,153)	(1,567)
არასაოპერაციო შემოსავალი		77,946	6
ზარალი დაბეგრამდე		(1,253,522)	(2,653,087)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა ზარალი		(1,253,522)	(2,653,087)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		(1,253,522)	(2,653,087)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორის მინდობილი პირი

ფინანსური მენეჯერი

თინათინ ფეიქრიშვილი

მარიამ გუგავა

თბილისი, საქართველო
29 სექტემბერი 2025

8-21 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)*

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 13)	დაგროვებული ზარალი	სულ
1 იანვარი 2023	244,980	(76,602)	168,378
საწესდებო კაპიტალის ზრდა	15,475,466	-	15,475,466
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(2,653,087)	(2,653,087)
31 დეკემბერი 2023	15,720,446	(2,729,689)	12,990,757
საწესდებო კაპიტალის ზრდა	8,162,116	-	8,162,116
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(1,253,523)	(1,253,523)
'31 დეკემბერი 2024	23,882,562	(3,983,211)	19,899,351

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორის მინდობილი პირი

ფინანსური მენეჯერი

თინათინ ფეიქრიშვილი

მარიამ გუგავა

თბილისი, საქართველო

29 სექტემბერი 2025

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 13)	დაგროვებული ზარალი	სულ
1 იანვარი 2023	244,980	(76,602)	168,378
საწესდებო კაპიტალის ზრდა	15,475,466	-	15,475,466
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(2,653,087)	(2,653,087)
31 დეკემბერი 2023	15,720,446	(2,729,689)	12,990,757
საწესდებო კაპიტალის ზრდა	8,162,116	-	8,162,116
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(1,253,523)	(1,253,523)
31 დეკემბერი 2024	23,882,562	(3,983,211)	19,899,351

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორის მინდობილი პირი

ფინანსური მენეჯერი

თინათინ ფეიქრიშვილი

მარიამ გუგავა

თბილისი, საქართველო
29 სექტემბერი 2025

8-21 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		(1,253,523)	(2,653,087)
<i>კორექტირებები წმინდა ფულად ნაკადებთან რეკონსილაციისთვის:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	10	1,827,784	211,468
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა (მოგება)/ზარალი	18	253,147	272,549
ფინანსური ხარჯი		322,106	-
<i>საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:</i>			
ზრდა - მარაგების	8	(9,664,287)	(3,469,253)
ზრდა - სავაჭრო მოთხოვნების		(39,805)	-
შემცირება/(ზრდა) გადახდილ ავანსებში	7	3,955,950	(6,084,667)
ზრდა - სავაჭრო და სხვა ვალდებულებების	11	473,671	458,756
ზრდა - მიღებული ავანსების		496,843	-
შემცირება/(ზრდა) საგადასახადო აქტივებში	9	827,535	(905,261)
წმინდა ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობაში		(2,800,579)	(12,169,495)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	10	(5,355,801)	(5,994,051)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(56,993)	-
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(5,412,794)	(5,994,051)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის აღება	12	1,395,700	1,241,500
კაპიტალის ზრდა	13	8,162,116	15,475,466
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საფინანსო საქმიანობიდან		9,557,816	16,716,966
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		1,344,443	(1,446,580)
სავალუტო კურსის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(68,218)	(151,115)
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვარს		368,307	1,966,002
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბერს		1,644,532	368,307

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი მინდოზილი პირი

ფინანსური მენეჯერი

თინათინ ფეიქრიშვილი

მარიამ გუგავა

თბილისი, საქართველო

29 სექტემბერი 2025

8-21 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		(1,253,523)	(2,653,087)
კორექტირებები წმინდა ფულად ნაკადებთან რეკონსილაციისთვის:			
ცვეთა და ამორტიზაცია	10	1,827,784	211,468
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა (მოგება)/ზარალი	18	253,147	272,549
ფინანსური ხარჯი		322,106	-
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
ზრდა - მარაგების	8	(9,664,287)	(3,469,253)
ზრდა - სავაჭრო მოთხოვნების		(39,805)	-
შემცირება/(ზრდა) გადახდილ ავანსებში	7	3,955,950	(6,084,667)
ზრდა - სავაჭრო და სხვა ვალდებულებების	11	473,671	458,756
ზრდა - მიღებული ავანსების		496,843	-
შემცირება/(ზრდა) საგადასახადო აქტივებში	9	827,535	(905,261)
წმინდა ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობაში		(2,800,579)	(12,169,495)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	10	(5,355,801)	(5,994,051)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(56,993)	-
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(5,412,794)	(5,994,051)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის აღება	12	1,395,700	1,241,500
კაპიტალის ზრდა	13	8,162,116	15,475,466
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საფინანსო საქმიანობიდან		9,557,816	16,716,966
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		1,344,443	(1,446,580)
სავალუტო კურსის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(68,218)	(151,115)
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვარს		368,307	1,966,002
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბერს		1,644,532	368,307

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი მინდობილი პირი

ფინანსური მენეჯერი

თინათინ ფეიქრიშვილი

მარიამ გუგავა

თბილისი, საქართველო

29 სექტემბერი 2025



8-21 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ძირითადი საქმიანობა**(ა) კომპანია და მისი ოპერაციები**

„ბოიგარს“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა (შემდგომში „კომპანია“), რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2022 წლის 23 სექტემბერს.

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი, N 15.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ლუქს ბრენდების ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და აქსესუარების საცალო რეალიზაცია. მომხმარებლებს კომპანია ემსახურება როგორც ფიზიკურ მაღაზიაში — თბილისის, რუსთაველის გამზირის N 15-ში, ასევე ონლაინ მაღაზიით - www.boygars.com, სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ შეიძინონ პროდუქცია, როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

ამ ანგარიშგების გამოშვების მომენტში კომპანიის გენერალური დირექტორი არის სვეტლანა ავსაჯანაშვილი.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სვეტლანა ავსაჯანაშვილი	100.00%	100.00%
	100.00%	100.00%

(ბ) ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი**(ა) შესაბამისობის განაცხადი**

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს პირველ სრულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2024 საანგარიშო წლისთვის. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის, კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება IV კატეგორიის კომპანიებისთვის განკუთვნილი მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა ზომითი კატეგორიის ცვლილებიდან გამომდინარე კომპანია გადავიდა მსს ფასს-ის გამოყენებაზე, შესაბამისად მიმდინარე ანგარიშგება კომპანიამ მოამზადა მსს ფასს-ის საფუძველზე, 35-ე განყოფილების „მსს ფასს-ზე გადასვლა“ მოთხოვნების შესაბამისად და გამოიყენა ყველა ის მიდგომა და პოლიტიკა, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. მსს ფასს-ის 25-ე განყოფილება მოითხოვს წარდგენას სულ მცირე ერთი შესადარისი პერიოდი, კომპანიამ წარადგინა ორი შესადარისი პერიოდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის, რაც შესაბამისობაშია მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების მოთხოვნებთან. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)****(გ) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა**

კომპანიის საოპერაციო და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტაა ქართული ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას.

(დ) ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უხლოეს მომავალში. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას, ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიის მიერ ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ექვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს და მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ ღირებულებაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად და ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**

ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	6
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-6
IT და ელექტრონული აღჭურვილობა	3
უსაფრთხოების სისტემები	5-6
ოფისის ავეჯი და აღჭურვილობა	3
სხვა აღჭურვილობა	3-5

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს როგორიცაა:

- კომპანიის მიერ აქტივის გამოყენების რეჟიმი;
- სავარაუდო ფიზიკური ცვეთა;
- ტექნიკური და ფიზიკური მოძველება;
- აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რა პერიოდშიც აქტივის აღიარების შეწყვეტა მოხდა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადი ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ღირებულებით. ისინი შემდეგ ფასდება გარიგების ღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვის თანხით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი დგინდება, როდესაც არის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი ვადების შესაბამისად.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 -365 დღე	1 წელზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	0%	2%	10%	25%	50%	100%

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)*

მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები). მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი (N5092-III) საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის ნაწილიც ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე. 2016 წლის 1 ივნისიდან, ხოლო მოგების გადასახადთან დაკავშირებული ცვლილებები კი ძალაში შევიდა 2017 წლის 1-ლი იანვრიდან, რომელიც გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ცვლილების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც განაწილებული იქნა საქართველოს რეზიდენტ კომპანიებზე (ვისაც ცვლილება შეეხო). დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი მოგების გადასახადის გამოანგარიშება ხდება განაწილებული თანხის 0.85-ზე გაყოფით. ამასთან, თუ რეზიდენტი საწარმო დივიდენდს განაწილებს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან, მას უფლება აქვს, ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, მაგრამ არაუმეტეს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის მიხედვით გადასახდელი თანხისა. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებს.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შეძენის პროცესში მიღებული ნებისმიერი დანამატის ან ფასდაკლების, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად პროცენტის სესხებს მიესადაგება.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულდება. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და

ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

შემოსავალი

შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

კომპანია შემოსავლებს იღებს პროდუქციის რეალიზაციით. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ფულადი ნაკადების ან შემოსავლებთან დაკავშირებული დარიცხული მოთხოვნების სამართლიანი ღირებულებით, რაშიც გათვალისწინებულია კომპანიის მიერ გაცემული ფასდათმობები. კომპანიის მთლიანი შემოსავალი აღიარდება პროდუქციის რეალიზაციისთანავე. კომპანიის გაყიდვების პოლიტიკის მიხედვით პროდუქტის რეალიზაციის მომენტში მასზე კონტროლს გადასცემს მომხმარებელს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, მას ასევე გაყიდული პროდუქტის დაბრუნებით სარგებლობის უფლებას აძლევს.

სასაჩუქრე ბარათები და ლოიალურობის ქულები

კომპანია საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს სასაჩუქრე ბარათების რეალიზაციას, ასეთი გამოიყენებელი სასაჩუქრე ბარათების ნაშთები აღიარებულია როგორც მიღებული ავანსები, შესაბამისი შემოსავლის აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მომხმარებელი გამოიყენებს სასაჩუქრე ვაუჩერს და შეიძენს პროდუქტს.

კომპანიაში დანერგილია ლოიალურობის პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც მომხმარებელი გამოიმუშავებს ლოიალურობის ქულებს, რომლის გამოყენება პროდუქციის შესაძენად შეუძლია მომავალ პერიოდში. ლოიალურობის ქულები მათ გამოიყენებამდე ან გაქარწყლებამდე აღიარდება, როგორც ვალდებულება. ლოიალურობის ქულების გამოიმუშავებისას კი მცირდება შემოსავალი გამოიმუშავებული ლოიალურობის ოდენობით.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**ხარჯების აღიარება**

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

სხვა ხარჯები

კომპანია აღიარებს მოთხოვნებს მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშო პერიოდზე, რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

იჯარა**საოპერაციო იჯარა- კომპანია როგორც მოიჯარე**

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმოდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი- საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 GEL / 1 USD	2.8068	2.6894
1 GEL / 1 EURO	2.9306	2.9753

4. არსებითი სააღრიცხვო დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების მიმდინარე ვადები ზემოთ მე-3 შენიშვნაშია მოცემული.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***4. არსებითი სააღრიცხვო დაშვებები (გაგრძელება)****გადასახადები**

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვლელადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხედვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობის გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

5. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი

(ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ 2025 წლის 27 თებერვალს გამოუშვა „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ მესამე გამოცემა, რომლის ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულია 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული ცვლილებები არ იქონიებს არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***6. ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	215,377	363,664
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,177,464	4,643
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	46,288	-
ფული გზაში	205,403	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,644,532	368,307

კომპანიას ფული და ფულის ეკვივალენტები განტავსებული აქვს სტაბილური რეიტინგის მქონე ბანკებში, შესაბამისად ფულის და ფულის ეკვივალენტების გაუფასურების რისკი მინიმალურია.

7. გადახდილი ავანსები

კომპანიის გადახდილი ავანსები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადად წარმოადგენს გასაყიდი საქონლის შესაძენად სხვადასხვა მომწოდებლისთვის გადახდილ ავანსებს.

8. მარაგები

მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გასაყიდი მარაგები	11,327,168	79,053
საქონელი გზაში	1,759,264	3,386,304
სხვა	47,108	3,896
სულ მარაგები	13,133,540	3,469,253

9. საგადასახადო აქტივი, წმინდა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი საბაზისო კოდით. შედეგად კომპანიამ წარადგინა საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ნეტო საფუძველზე. კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს საგადასახადო აქტივი 85,645 ლარი და 913,180 ლარი, შესაბამისად.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	IT და ელექტრონული აღჭურვილობა	უსაფრთხოების სისტემები	ოფისის ავეჯი და აღჭურვილობა	სხვა აღჭურვილობა	სულ
<i>ისტორიული ღირებულება</i>							
31 დეკემბერი 2022	342,575	-	-	-	-	-	342,575
შეძენა	4,601,826	1,088,405	153,822	121,683	15,281	13,034	5,994,051
31 დეკემბერი 2023	4,944,401	1,088,405	153,822	121,683	15,281	13,034	6,336,626
შეძენა	3,994,700	889,837	24,170	356,198	17,211	73,685	5,355,801
31 დეკემბერი 2024	8,939,101	1,978,242	177,992	477,881	32,492	86,719	11,692,427
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>							
31 დეკემბერი 2023	-	-	-	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი	1,352,455	319,478	52,243	69,542	9,447	16,187	1,819,352
31 დეკემბერი 2024	1,352,455	319,478	52,243	69,542	9,447	16,187	1,819,352
<i>საბალანსო ღირებულება</i>							
31 დეკემბერი 2023	4,944,401	1,088,405	153,822	121,683	15,281	13,034	6,336,626
31 დეკემბერი 2024	7,586,646	1,658,764	125,749	408,339	23,045	70,532	9,873,075

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	547,815	498,938
სხვა ვალდებულებები	8,331	-
სულ არა-ფინანსური ვალდებულებები		
ვალდებულება სასაჩუქრე ბარათებიდან	143,181	-
ვალდებულებები ლოიალურობის პროგრამიდან	274,224	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	973,551	498,938

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

12. მიღებული სესხები

კომპანიის მიღებული სესხები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გამსესხებელი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დასრულების თარიღი	საწყისი თანხა	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ძირი 31 დეკემბერი 2024	საპროცენტო ვალდებულება 31 დეკემბერი 2024	სულ
ფიზიკური პირი 1	USD	11/9/2022	6/4/2025	800,000	7%	2,245,440	330,295	2,575,735
ფიზიკური პირი 2	USD	5/3/2023	12/3/2027	500,000	7%	1,403,400	161,756	1,565,156
ფიზიკური პირი 3	USD	6/4/2024	6/4/2027	500,000	7%	1,403,400	56,790	1,460,190
სულ მიღებული სესხები						5,052,240	548,841	5,601,081
მიღებული სესხები, გრძელვადიანი								2,806,800
მიღებული სესხები, მოკლევადიანი								2,794,281
სულ მიღებული სესხები								5,601,081

გამსესხებელი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დასრულების თარიღი	საწყისი თანხა	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ძირი 31 დეკემბერი 2023	საპროცენტო ვალდებულება 31 დეკემბერი 2023	სულ
ფიზიკური პირი 1	USD	11/9/2022	6/4/2025	800,000	7%	2,151,520	165,873	2,317,393
ფიზიკური პირი 2	USD	5/3/2023	12/3/2027	500,000	7%	1,344,700	60,862	1,405,562
ფიზიკური პირი 3	USD	6/4/2024	6/4/2027	500,000	7%	-	-	-
სულ მიღებული სესხები						3,496,220	226,735	3,722,955
მიღებული სესხები, გრძელვადიანი								3,496,220
მიღებული სესხები, მოკლევადიანი								226,735
სულ მიღებული სესხები								3,722,955

მიღებული სესხების მოძრაობა 2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის შემდეგია:

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

12. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მიღებული სესხების მოძრაობა 2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის შემდეგია:

	2024	2023
წლის საწყისი ნაშთი	3,722,955	2,176,939
ფულადი ტრანზაქციები		
სესხის მიღება	1,395,700	1,241,500
არა-ფულადი ტრანზაქციები		
პროცენტის დარიცხვა	322,106	211,468
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული, (მოგება)/წმინდა	160,320	93,048
წლის საბოლოო ნაშთი	5,601,081	3,722,955

13. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 2024 და 2023 ფინანსურ წლებში ნაღდი ფულით. 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის დივიდენდები არ გამოცხადებულა და გადახდილი. გაუნაწილებელი მოგების განაწილებაზე შეზღუდვები არ არსებობს.

14. შემოსავალი

შემოსავალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	19,887,653	-
დაბრუნებები, ფასდაკლებები და ლოიალურობის ქულები	(698,078)	-
სულ შემოსავალი	19,189,575	-

კომპანიამ შემოსავლის მაგენერირებელი ოპერაციები დაიწყო 2024 წლის თებერვალში, ფიზიკური მაღაზიის გახსნით თბილისში. კომპანიის შემოსავლები გენერირდება ტანსაცმლის და აქსესუარების რეალიზაციიდან, როგორც ფიზიკურ მაღაზიაში ასევე ონლაინ კომერციის მეშვეობით.

15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10,479,371	-
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10,479,371	-

16. გაყიდვის და მარკეტინგის ხარჯი

გაყიდვის და მარკეტინგის ხარჯი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	1,598,070	-
ცვეთა და ამორტიზაცია	1,701,906	-
საიჯარო ხარჯი	1,029,987	-
სარეკლამო ხარჯი	887,333	208,926
მოწვეული სპეციალისტების ხარჯი	121,070	678,744
სხვა ხარჯი	292,704	653
სულ გაყიდვის და მარკეტინგის ხარჯი	5,631,070	888,323

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
სახელფასო ხარჯი	1,324,623	264,073
საგადასახადო ხარჯი	623,694	33,396
კომუნალური ხარჯი	253,012	49,862
საკონსულტაციო ხარჯი	246,825	287,849
საკომისიო ხარჯი	296,235	27,586
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯი	239,845	28,975
საოფისე ხარჯი	132,907	14,133
იჯარის ხარჯი	125,881	-
ცვეთის ხარჯი	99,833	505,297
მოვლა-პატრონობის და შეკეთების ხარჯი	66,926	3,887
დაზღვევის ხარჯი	41,102	-
სხვა ხარჯი	227,313	64,128
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3,678,196	1,279,186

18. ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა

მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	253,147	272,549
	253,147	272,549
	2024	2023
არარეალიზებული საკურსო ზარალი	184,929	121,434
რეალიზებული საკურსო ზარალი	68,218	151,115
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	253,147	272,549
	2024	2023
საკურსო ზარალი ფულისა და ფულის ეკვივალენტებიდან	68,218	151,115
საკურსო ზარალი სავაჭრო და სხვა ვალდებულებებიდან	942	28,164
საკურსო ზარალი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან	23,667	150
საკურსო ზარალი მიღებული სესხებიდან	160,320	93,120
	253,147	272,549

19. პირობითი ვალდებულებები**საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებაში შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სასამართლო დავები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მეტრიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	ურთიერთობის სახე	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოკლევადიანი ვალდებულებები	სხვა დაკავშირებული მხარე	2,794,281	226,735
გრძელვადიანი ვალდებულებები	სხვა დაკავშირებული მხარე	2,806,800	3,496,220
		5,601,081	3,722,955
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	ურთიერთობის სახე	2024	2023
საპროცენტო ხარჯი	სხვა დაკავშირებული მხარე	322,106	211,468
		322,106	211,468

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ხელფასი და სხვა სარგებელი 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის შეადგენს:

	2024	2023
უმაღლესი ხელმძღვანელობის ხელფასი და სხვა სარგებელი	515,883	49,846
	515,883	49,846

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს.

კომპანიაში მოხდა ცვლილება დამფუძნებლების და 2025 წლის 4 ივნისიდან კომპანიის დამფუძნებლები არიან სვეტლანა ავსაჯანაშვილი 50%-ი და ხადიჟა ავსაჯანაშვილი 50%-ი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სხვა არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ბოიგარს“

BOYGAR'S

თბილისი

2025

სარჩევი:

ზოგადი ინფორმაცია	3
საქმიანობის მიმოხილვა	4
ჩვენი გუნდი.....	5
კომპანიის განვითარების გეგმები	5
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	6
ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები.....	7
ფინანსური მაჩვენებლები.....	7
არაფინანსური მაჩვენებლები.....	9

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბოიგარსი“ დაარსდა 2022 წლის 23 სექტემბერს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია რეგისტრირებულია თბილისში, რუსთაველის გამზირზე №15-ში.

კომპანიამ საოპერაციო საქმიანობა დაიწყო 2024 წლის თებერვალში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100 %-იანი წილის მფლობელი არის სვეტლანა ავასაჯანაშვილი.



საქმიანობის მიმოხილვა

„ბოიგარსი“ საქმიანობს საცალო ვაჭრობის სფეროში და სპეციალიზებულია ლუქს ბრენდების ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და აქსესუარებისა რეალიზაციაში. 2024 წელს ბოიგარსი წარმოდგენილია ერთი ფიზიკური მაღაზიით, რომელიც მდებარეობს ისტორიულ შენობაში, თბილისის გულში, რაც მას გამორჩეულ იდენტობას სძენს როგორც ექსტერიერის, ისე ინტერიერის თვალსაზრისით. სივრცე შექმნილია სკანდინავიელი დიზაინერების, ქრისტიან და რუქსანდრა ჰალეროედების მიერ.



კომპანიას ასევე აქვს ონლაინ მაღაზია www.Boygars.com, სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ პროდუქციის შეძენა, როგორც საქართველოს მასშტაბით, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

ბოიგარსი არის ოფიციალური რითეილ წარმომადგენელი ისეთი ბრენდების როგორიცაა

PRADA MIU MIU SAINT LAURENT LOEWE THE ROW *Brunel*
ALAÏA BOTTEGA VENETA PHOEBE PHILO GUCCI TOMFORD FENDI
BRUNELLO CUCINELLI GIORGIO ARMANI VALENTINO JACQUEMUS

კომპანია ორიენტირებულია ბრენდის განვითარებაზე, მომხმარებელთა კმაყოფილებასა და მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფაზე, რაც წარმოადგენს კომპანიის გრძელვადიანი ზრდისა და სტაბილური ფუნქციონირების წინაპირობას.

ჩვენი გუნდი

„ბოიგარს“-ში დასაქმებულია 50 ადამიანი, რაც მოიცავს ოფისის, საწყობისა და სავაჭრო სივრცის (ფრონტის) თანამშრომლებს. კომპანია აცნობიერებს ადამიანური კაპიტალის მნიშვნელობას და სწორედ ამიტომ ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევს პროფესიონალი გუნდის ჩამოყალიბებას, განვითარებასა და შენარჩუნებას.

საოპერაციო საქმიანობის დაწყებამდე, ყველა თანამშრომელმა გაიარა სპეციალური მომზადების კურსი მომსახურების სფეროში, რაც მიზნად ისახავდა მაღალი სტანდარტების მომსახურების უზრუნველყოფას ლუქს კატეგორიის მომხმარებლისთვის. აღნიშნული ტრენინგები მოიცავდა კომუნიკაციის კულტურას, მომხმარებელთა მოთხოვნებზე სწორად რეაგირებასა და მაღაზიაში მუშაობის ეთიკას.

გარდა საწყისი მომზადებისა, კომპანია მუდმივად ახორციელებს ტრენინგებსა და პროფესიულ სწავლებას, რომელსაც ხშირად უშუალოდ პარტნიორი ბრენდები ატარებენ. ეს ტრენინგები მოიცავს დეტალურ ინფორმაციას როგორც ახალ კოლექციებზე, ისე ბრენდების ისტორიასა და ღირებულებებს, რაც თანამშრომლებს საშუალებას აძლევს მომხმარებელს სრულყოფილად გააცნონ თითოეული პროდუქტის კონტექსტი და შექმნან გამორჩეული გამოცდილება.

მუდმივი სწავლა და პერსონალის გაძლიერება კომპანიის გრძელვადიანი სტრატეგიის ნაწილია და განიხილება, როგორც ინვესტიცია მომსახურების ხარისხში, ბრენდის რეპუტაციასა და მომხმარებელთა კმაყოფილებაში.

კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანიის მისიაა საქართველოში ლუქს კლასის შოპინგის კულტურის განვითარება და მომხმარებლებისთვის იმავე დონის გამოცდილების შეთავაზება, რაც საერთაშორისოდ აღიარებულ მოდის სახლებს ახასიათებს.

მომავალში კომპანიის გეგმაა გაზარდოს არსებული ბრენდებისა და კოლექციების ასორტიმენტი და მომხმარებელს შესთავაზოს უმაღლესი ხარისხის ექსკლუზიური მომსახურება.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის განვითარებისა და სტრატეგიული მიზნების ეფექტურად განხორციელებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვეყნის შიგნით სტაბილური გარემოს შენარჩუნება. ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა პირდაპირ აისახება, როგორც ტურისტული ნაკადების ზრდაზე, ისე ადგილობრივი მომხმარებლების შენარჩუნებასა და ახალი სეგმენტების მოზიდვაზე, რაც კომპანიის შემოსავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

კომპანია ცნობიერად აფასებს ლიკვიდობასა და ოპერაციულ რისკებს, რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს ყოველდღიურ საქმიანობაზე. მიუხედავად არსებული რისკებისა, კომპანიის ფინანსური სტრუქტურა ამჟამად ჯანსაღად ითვლება.

ასევე აღსანიშნავია ვალუტის კურსის არასტაბილურობისგან გამომდინარე რისკები. კომპანიის ძირითადი შესყიდვები ხორციელდება უცხოურ ვალუტაში, ხოლო გაყიდვები — ეროვნულ ვალუტაში, რაც ზრდის საკურსო რყევების გავლენას ფინანსურ შედეგებზე. ლარის გაუფასურება პირდაპირ აისახება იმპორტირებული პროდუქციის თვითღირებულებაზე, რაც ზრდის ფასების რეგულირების საჭიროებას.

ამ ფონზე, კომპანია მიზანმიმართულად იყენებს ფინანსურ დაგეგმვას და ხარჯების ოპტიმიზაციას, რათა მაქსიმალურად შეამციროს საგარეო ეკონომიკური ფაქტორების უარყოფითი გავლენა და უზრუნველყოს ფინანსური სტაბილურობა გრძელვადიან პერსპექტივაში.

ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2024 წელი კომპანიისთვის პირველი საოპერაციო წელი იყო და ბოიგარსის შემოსავალმა 19 მილიონი ლარი შეადგინა,

კომპანიის ძირითადი ინვესტიციები განხორციელდა 2022–2023 წლებში, თუმცა 2024 წელს შესრულდა მნიშვნელოვანი, გახსნასთან დაკავშირებული ხარჯები. აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა საწყისი მარაგების შესყიდვა და მაღაზიის სრულყოფილად კეთილმოწყობა.

2024 წლის განმავლობაში ბიზნესის ოპერაციულ საქმიანობაში დაფიქსირდა პოზიტიური ზრდის ტენდენცია, რაც სრულად შეესაბამებოდა კომპანიის სტრატეგიულ პროგნოზებსა და მოლოდინებს. შესაბამისად, მიმდინარე დინამიკა მიუთითებს სტაბილურ განვითარებასა და მომავალი პერიოდის ოპტიმისტურ პერსპექტივებზე.

იხ. დეტალურად:

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	14	19,189,575	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(10,479,371)	-
საერთო მოგება		8,710,204	-
გაყიდვის და მარკეტინგის ხარჯი	16	(5,631,070)	(888,323)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	17	(3,678,196)	(1,279,186)
საოპერაციო ზარალი		(599,062)	(2,167,509)
ფინანსური ხარჯი	12	(322,106)	(211,468)
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	18	(253,147)	(272,549)
არასაოპერაციო ზარალი		(157,153)	(1,567)
არასაოპერაციო შემოსავალი		77,946	6
ზარალი დაბეგვრამდე		(1,253,522)	(2,653,087)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა ზარალი		(1,253,522)	(2,653,087)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		(1,253,522)	(2,653,087)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	1,644,532	368,307	1,966,002
სავაჭრო მოთხოვნები		16,138	-	-
გადახდილი ავანსები	7	2,177,730	6,133,680	49,013
მარაგები	8	13,133,540	3,469,253	-
საგადასახადო აქტივი, წმინდა	9	77,249	904,784	-
სულ მიმდინარე აქტივები		17,049,189	10,876,024	2,015,015
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	9,873,075	6,336,626	342,575
არამატერიალური აქტივები		48,561	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,921,636	6,336,626	342,575
სულ აქტივები		26,970,825	17,212,650	2,357,590
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	973,551	498,938	11,796
მიღებული ავანსები		496,843	-	-
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა		-	-	477
მიღებული სესხები	12	2,794,281	226,735	15,339
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,264,675	725,673	27,612
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	12	2806800	3,496,220	2161600
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2806800	3496220	2161600
სულ ვალდებულებები		7,071,475	4,221,893	2,189,212
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	13	23,882,562	15,720,446	244,980
გაუნაწილებელი მოგება		(3,983,212)	(2,729,689)	(76,602)
სულ კაპიტალი		19,899,350	12,990,757	168,378
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		26,970,825	17,212,650	2,357,590

არაფინანსური მაჩვენებლები

როგორც ლუქს სექტორში მოქმედი ბრენდი, „ბოიგარსი“ მიზნად ისახავს მომხმარებლებს შესთავაზოს გამორჩეულად დახვეწილი და ექსკლუზიური მომსახურება, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება ბაზრის სტანდარტულ მოლოდინებს. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს მომხმარებლის ლოიალობის ფორმირებასა და მაღაზიაში განმეორებითი ვიზიტების ზრდას.

მაღაზიაში წარმოდგენილია ბრენდების უახლესი კოლექციები, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს თანამედროვე მოდის ტენდენციებს უშუალოდ გაეცნოს და მიიღოს განსაკუთრებული გამოცდილება.

გარდა პროდუქტისა და მომსახურების კომპონენტებისა, „ბოიგარსი“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ადამიანური რესურსების განვითარებას. თანამშრომლები რეგულარულად გადიან სპეციალიზებულ ტრენინგებს როგორც მომსახურების სტანდარტების, ისე კონკრეტული ბრენდების ისტორიისა და კოლექციების შესახებ, რაც ზრდის მათი პროფესიული კომპეტენციის დონეს და აუმჯობესებს მომხმარებელთან ურთიერთობის ხარისხს.

კომპანია მუდმივად ცდილობს ქართულ ბაზარზე სიახლეების შემოტანას და ისეთი გამოცდილების შეთავაზებას, რომელიც ამ სფეროში ჯერ კიდევ ახალი ან იშვიათად ხელმისაწვდომია. „ბოიგარსი“ ამით არამხოლოდ მომხმარებელს სთავაზობს შოპინგის ახალ გამოცდილებას, არამედ თავისი წვლილი შეაქვს ლუქს კატეგორიის საცალო ვაჭრობის განვითარებაში ქვეყნის მასშტაბით.

გენერალური დირექტორის მინდობილი პირი

ფინანსური მენეჯერი

თინათინ ფეიქრიშვილი

მარიამ გუგავა

თბილისი, საქართველო

29 სექტემბერი 2025

